განკარგულება:**გ-19. 19262733**
თარიღი:**30/09/2026**

განკარგულება №76

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 35-ე მუხლის პირველი ნაწილის „ჟ“ პუნქტის, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-3 მუხლის მესამე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და 50–ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1

დამტკიცდეს გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმა, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი